№ 52 მარტი 7, პარასკევი 1886 მარტი 7, პარასკევი № 52

ეროვნული

გაზეთი ღირს:

თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შაჰრდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს დ გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერია“ 1 მარტიდამ წლის დამლევამდე ღირს 8 მან. 75 კაპ.

ტფილისი, 7 მარტს

გათავდა, თუ არა, ბოლგართ-სერბიის-საქმე ერთის მხრით და მეორეს მხრით — ბოლგართ-ოსმალებისა? დალაგდა ბალკანიის ნახევარ კუნძულის აწეწილი საქმე? ჩაჰქრა, თუ არა, აღმოსავლეთის საქმის ცეცხლი? აი რას ეკითხებიან დღეს ერთმანეთს პოლიტიკის მიმდევარნი და მეთვალ-თვალენი. ბუქარესტში დიპლომატებმა მოიყარეს თავი, კარგა ხანს ილაპარაკეს როგორ მოვარიგოთო სერბია და ბოლგარია, ლეწეს, ლეწეს ეს მორიგების საქმე და ბოლოს მორიგების სიგელიც შეადგინეს. ბევრი ქაღალდი კი არ დახარჯეს ამ სიგელისათვის და არც ბევრის წერით აიტკივეს თავი, სულ სამიოდე სიტყვა დაასკუპეს ამ სიგელზედ: «ბოლგარია და სერბია დღეის იქით მეგობრები არიანო». ამ სახით ღველფს ფერფლი და ნაცარი წააყარეს, ჯერ ადრეა ალაპლაპებაო. ამ გვარად ჩააჩუმეს საჩხუბარი საქმე, თვითონ საგანი ჩხუბისა კი ისევ ხელ-უხლებლად დასტოვეს.

ბოლგართ-ოსმალოს საქმეც გათავდაო, გვაუწყეს დიპლომატებმა სიხარულით. ამის გამო გაზეთებმაც, რომელნიც, ჩვენში რომ ვსთქვათ, გულით ომსა ნატრულობდნენ, ტყუილი სიხარული მოჰრთეს, მშვიდობიანობა ჩამოვარდა ევროპაშიო. დიდთა სახელმწიფოთა შესთხზეს კიდეც თავისის მხრით სიგელი, რომლითაც ერთობილად უნდა ეუწყებინათ ქვეყნისათვის, რომ გულით და სულით მოგვწონს ამ გვარი ქცევა ოსმალთ-ბოლგარიისაო, მაგრამ მოუსვენარმა და არა - უხერხო მთავარმა ალექსანდრემ უეცრად წამოიძახა: უგაცრაოდ, მე ხუთის წლით აღმოსავლეთ - რუმელიის გენერალ - გუბერნატორობას არ ვიკადრებო. თუ მორიგება გინდათ, ჩემს გენერალ-გუბერნატორობას ნურაფერს ვადას ნუ დაუდებთო. შეფუცხუნდა დიპლომატია, ეს რა ამბავიაო? საქმე უკვე გათავებული იყოვო და რამ შეაგულიანა მთავარი ალექსანდრეო? უკანასკნელმა დეპეშამ გვაცნობა, ვითომც ბოლგარიის მინისტრს ცანოვს, სტამბოლში მორიგებისათვის გაგზავნილს, ბძანება მისვლია, მანდ ტყუილად ნუღარა სცდებიო და თუ მაინც და მაინც ვადით მნიშვნენ გენერალ-გუბერნატორათაო, ადეგ და წამოდიო, ტყუილი-და იქნება ლაპარაკიო. ცანოვიც წამოსულა სოფიაში.

თუ ეს ყველაფერი მართალია, დიპლომატია არამც თუ შეჰფუცხუნდება, არამედ შაჰხტება და დატრიალდება. ამ გვარმა ახალმა ამბავმა დიპლომატიას თავისი მეძებრები უნდა დააქსაქსვინოს, რომ ალღო აიღოს და შეიტყოს, საიდამ რა მოხდაო. თქმა არ უნდა, გუმანს, გეშს «მზაკვარს ალბიონზედ» მიიტანენ და იქნება გერმანიასაც დაჰსუნონ მეძებრებმა. თუ ეს ყოველივე მართალი გამოდგა, უეჭველია, ვისიმე ძლიერი ხელი იდუმალად მოქმედებს და ბოლგართ-ოსმალეთის საქმის მავთულებს ხელში ათამაშებს.

ესეა, თუ არა, ის კი ცხადია, რომ ბალკანიის ნახევარ-კუნძულის საქმის დაბოლოვება ჯერ შორს არის და დიდთა სახელმწიფოთა ჯერ ან არა ჰსურთ, ან ვერ ეხერხებათ. იმ გვარად გათავდება ბოლგართ-ოსმალოს საქმე, როგორც უკვე მორიგებულნი იყვნენ, თუ ახალს მოთხოვნილებას მთავარ ალექსანდრესას შეიწყნარებენ, ორსავე შემთხვევაში ეგრედ წოდებული «აღმოსავლეთის საქმე» ისევ გაუთავებელი იქნება. ორსავე შემთხვევაში საქმის გათავება კი არ არის, საქმის გადადებაა სამერმისოდ. აშკარაა, რომ ევროპა ჯერ ვერ იცლის აღმოსავლეთის საქმისათვის, აშკარაა, სახელმწიფოებს ჯერ ვერ მოუწყვიათ თავისი საკუთარი საქმეები, რომ ხელ-ფეხ გახსნილი გამოვიდნენ მოედანზედ.

ინგლისი ირლანდიის და მუშათა მოძრაობის საქმეზეა დღეს მიჩერებული და იმოდენად ვერ იცლის აღმოსავლეთის საქმისათვის, რამოდენადაც მისთვის სასურველია. გლადსტონს მოუწადინებია ირლანდიის საქმეს მალე მოუღოს ბოლო, ირლანდიის სატკივარს სამართლიანი და ბევრად თუ ცოტად უებარი წამალი დასდოს. სამინისტროში ამ საგანზედ განხეთქილება ჩამოვარდნილა და ამი სგამო სახელოვანს ჩამბერლენს და ტრავილიანს სამინისტროდამ გამოსვლა მოუწადინებიათ. ეს ვერაფერი ამბავია გლადსტონისათვის, რადგანაც ჩამბერლენი დიდი გავლენიანი კაცია. შესაძლოა, რომ ამ ირლანდიის საქმის გამო გლადსტონმა მარცხი მიიღოს პარლამენტში და მაშინ ან გადადგება სამინისტროდამ და გზას დაუთმობს ისევ სალუსბერის, ან იძულებულ შეიქმნება პარლამენტი დაითხოვოს და ხელ-ახლად დაეკითხოს ინგლისის ერს, თქვენ როგორ ჰფიქრობთო. ინგლისის ერი ხელ-ახლად აირჩევს პარლამენტში წევრთა და ამით გამოჰსთქვამს, მოსწონს გლადსტონის პოლიტიკა ირლანდიის შესახებ, თუ არა.

გერმანიას, ბისმარკის წყალობით, დღეს შინაური საქმე ბევრი აუჩნდა. ბისმარკს იმ დასის შემუსრვა მოუწადინებია, რომელსაც პარლამენტის ცენტრს ეძახიან. ამ მიზეზით პარლამენტში დიდი ბრძოლაა ატეხილი. გარდა ამისა პოლშელების გამოდევნა პოზნანიდამ და მათ მაგიერ დასახლება ნემეცებისა მეტად რთულს და ძნელს საქმეს წარმოადგენს. თუმცა ყოვლად-ძლიერი კანცლერი ამ სატკივარს დღე და დღე უფრო ამწვავებს, უფრო აწყლულებს და ამით თითქო არწმუნებს ქვეყანას, რამდენიც გინდა იძახე, ვითომც ეს ჩემი მოქმედება გულ-ქვაობაა, შენი უქმი ყაყანი, ძრახვა, კილვა მე აინუნშიაც არ მომდისო, მაგრამ ეს საქმე არც ისე სახუმარია, რომ ბისმარკმა გარედ თავისუფლად ფეხი გასდგას. მერე ზურგთ უკან დაუძინებელი მტერი საფრანგეთიც დიდს ნუგეშს ვერ წარმოუდგენს ამ შემთხვევაში.

აი ორი სახელმწიფო, რომელთ მოქმედებაზეა დამოკიდებული გაღუვდეს აღმოსავლეთის საქმე ევროპაში და ერთ უშველებელ ცეცხლად გადიქცეს, თუ ჯერ ხანად ნაცარი წაეყაროს უფრო უკეთესს დრომდე? ამ შემთხვევაში გლადსტონის მთავარ-მინისტრობამ და სალუსბერის გადადგომამ გერმანიის პოლიტიკას აღმოსავლეთის საქმეში ცოტა არ იყოს მიმართულება და ფერი აცვლევინა.

დღევანდელს ყოფას აღმოსავლეთის საქმისას, რომ თვალი დავაკვირვოთ, უტყუარად შევნიშნავთ მარტო შემდეგს ცვლილებას: ზოგიერთმა სახელმწიფომ ბალკანიის ნახევარ-კუნძულზედ თვისი გავლენა განაძლიერა და სამერმისოდ გზა გაიფართოვა და ზოგიერთმა კი თითქმის სრულებით დაჰკარგა. ხოლო ეს ცვლილება და იგი ცვლილება, რომელსაც აღმოსავლეთის დაბინავება ასე მწვავად და შეუფერებლად ითხოვს, ჯერ შორი შორს არის და ამიტომაც გულ დაჯერებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ

ფელეტონი

დაბრიყვებული ბრუნვები

(პასუხად ბ-ნს ნასიძეს)

(შემდეგი *)

უფრო მომეტებული სისუსტე და უცოდინარობა გამოიჩინა ბატონმა ნასიძემ თავის წერილის მეორე ნაწილში, სადაც იგი შეებრძოლა ჩვენს საბუთებსა, რომლითაც ჩვენ ვამტკიცებთ მოქმედებითის ბრუნვის არსებობას, თვით-მყოფელობასა.

პირველი ჩვენი საბუთი გამოცანითგან შესდგებოდა. მაგრამ ამ გამოცანას ძლიერ შეუშინებია და გაუქცუნებია ჩვენი მობაასე, უთუოდ იმიტომ, რომ შიგ ნახსენები იყო ხოლერა (ივანე მოკვდა ხოლერით). მაშ კარგი. ამ საშინელის სტუმრის მაგივრად ვიხმაროთ შინაური და ყველა ქართველისათვის საყვარელი საგანი— ღვინო. ბერუა დაითრო ღვინით. ამ მაგალითში ბერუას ღვინო ათრობს. აბა ახლა ეს ფრაზა გადავაკეთოთ ისე, როგორც მოითხოვს ბატონ ნასიძის მოსაზრება. ბერუა დათვრა ღვინითურთ,—ბერუა დათვრა ღვინისათანა. პირველს ფრაზაში ბერუა და ღვინო ერთად, ძმურად ითრობიან,— რითი? უთუოდ უნდა გამოიცნოთ. მეორე ფრაზაში ბერუა დაუპატიჟნია ღვინოსა, გვერდით მოუსვამს და კარგა ლაზათიანად ჩაუბრუქებია. რითი? კიდევ აუცილებელი გამოცანა. ერთს გამოცანას გაექეცით და ორი მოგადგათ კარზედ. მახეში ნებით გაბმა ბევრი მინახავს; მაგრამ ამისთანა ახირებული კი ჯერედ არა.

მეორე ჩვენი საბუთი იყო შემდეგი: «მოქმედებითის ბრუნვის უკანასკნელი ასო (თ) რომ შემოკლებული თანდებული იყოს, ამ ასოს ბოლოზედ სხვა თანდებული ველარ მიებმებოდა; გარნა ამ ბრუნვას სხვა თანდებულნი ძალიან შნოიანად უკავშირდებიან; მაგალითად «გან». პირველითგან იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღვთისათანა». რას ამბობს ამაზედ ბატონი ნასიძე? ჯერედ ცდილობს დაამტკიცოს, რომ ბრუნვაზედ მობმულს თანდებულს შეიძლება დაეკონწიალოს მეორე თანდებულიცაო. მას მოჰყავს სამი მაგალითი: «სახლშიდა», «თქვენზედ წინ» და «თქვენისთანაზედ». მისი აზრით, პირველს სიტყვაში «და» არის ცალკე თანდებული, ში-ზედ მიბმული. დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენს მკითხველებში არც ერთი არ მოიპოვება იმისთანა ჭკუა მოკლე და მიუხდომელი, რომელსაც არ ესმოდეს, რომ პროვინციალური «შიდა» არის გადასხვაფერებული, დამახინჯებული «შინა» და არა ორ-კეცი თანდებული. მეორე მაგალითში სიტყვა «წინ» ბოლოზედ კი არ აბია წინასწარ თანდებულსა, ცალკე სიტყვაა და ამას გარდა შეადგენს ამ შემთხვევაში ზმნის-ზედას და არა თანდებულსა. «იგი მოვიდა თქვენზედ ადრე, გვიან, წინად»—ამ მაგალითში უკანასკნელს სამს სიტყვას, რომელიც არის აღმნიშვნელი დროსი და მიმგებელი კითხვაზედ—როდის? ზმნის-ზედად აღიარებს ყოველი ცოტაოდნად შეგნებული მოწაფე პირველი კლასისა, და გვიკვირს, ახალმა ჩვენმა გრამატიკოსმა ეს როგორ არ იცის. მესამე სიტყვაში თანდებული «თანა» არის არა ბრუნვის დაბოლოება, არამედ ორგანიული, განუშორებელი ნაწილი რთული სიტყვისა «თქვენისთანა», რომელიც სდგას დასაბამითს ფორმაზედ. ეს მაგალითი მაშინ იქნებოდა ჩვენი გამამტყუნებელი, რომ გვეთქვა: თუ რთული სიტყვის მეორე ნაწილი შესდგება თანდებულისაგან, მას ბრუნვის ბოლოზედ მეორე თანდებული ველარ დაჰყვებაო. გარნა ეს ყოვლად შეუსაბამო აზრი ჩვენ სიზმარშიაც არ მოგველანდებოდა, რადგანაც ბეჯითად ვიცით, რომ ქართულნი თანდებულნი ძალიან ხშირად შეუხორცდებიან სიტყვების ძირსა, გახდებიან მათი განუყრელნი ნაწილნი, სრულიად დაჰკარგვენ თავის საკუთარს მნიშვნელობას და შეადგენენ რთულს სიტყვებსა: უკეთესთაგანი, ხელქვევითი, ცისქვეშეთი, ზმნისზედა და სხვანი. ყველა ამ შემთხვევაში თანდებულს ბოლოზედ ებმის დასაბამითი ფორმა და მთელი სიტყვა შეადგენს სახელობითს ბრუნვას. ეს სიტყვებიც იბრუნება ისე, როგორც ყველა სხვა სახელები და მათ ბოლოზედ დაჰყვებათ ყველა-გვარი თანდებული. ერთი სიტყვით, ჩვენ ვამბობთ: რაკი ხარს კუდი აბია, ამ კუდზედ მეორე კუდი ველარ მიებმისთქო. ამაზედ ბატონი ნასიძე ფრიად ზრდილობიანად გვეუბნება: სტყუი, სტყუიო,—ხარს თავზედ აბია ჯერედ ტანი და მერმე ტანზედ კუდიო; მაშასადამე კუდზედ კუდის მობმა ძალიან შესაძლებელი ყოფილაო. დიაღ, ძლიერ კვიმატი მოწინააღმდეგე შეგვხვდა ამ ჟამად!

ჩვენი მოპირ-და-პირე შემდეგ ამბობს, რომ «პირველითგან» არის არა მოქმედებითი ბრუნვაო, არამედ ნათესაობითი და წარმოსდგება ამ გვარათაო: პირველად, პირველადგან, პირველიდგან. აქაც ჩვენს მოპირ-და-პირეს დავთრები არევია და თავის-თავს თვითონვე აბამს მახეში... ცვლილებითის ბრუნვის ფორმა «პირველად» (რომელსაც იგი სრულიად უარ-ჰყოფს) მოსჩვენებია ნათესაობითის ბრუნვის ფორმად და ერთი მეორეში დომხალივით აურევია. საქმე უფრო კიდევ აუწეწნია თანდებულს «გან». ბატონს ნასიძეს შეუმჩნევია, რომ ეს თანდებული ზოგჯერ მისდევს ნათესაობითს ბრუნვასა და ჩაუთვლია მის ყურმოჰრილ ყმად, რომელსაც ვითომც

---

*) «ივერია», № 51, 1886 წ.

აღმოსავლეთის საქმე, ასე მჭიდროდ დამოკიდებული ბალკანიის ნახევარ კუნძულისა და ოსმალეთის ვითარებაზედ, სამერმისოდ არის გადადებული ჯერ ამისთვის მოუცლელ და გარემოებათაგან ხელფეხ შეკრულ ევროპის მიერ.

ახალი ამბავი

⁂ ქართულის დრამატიულის საზოგადოების მმართველობა გვთხოვს ვაუწყოთ ჩვენს მკითხველთ, რომ თუ აქამდის მისგან გამართულის ბალის ანგარიში ჯერ საჯაროდ არ არის გამოცხადებული, მიზეზი ის არის, რომ ზოგიერთი საბალო სამკაული პეტერბურღიდგან იყო დაბარებული და იქიდამ აქამომდე ანგარიში არ მიუღიათ.

⁂ ბათუმიდამ გვწერენ, რომ ქობულეთში პირველ-დაწყებითის სკოლის დაარსებას აპირობენო. რადგანაც ქობულეთში მკვიდრნი ქართველნი-მაჰმადიანნი თითქმის წმინდა ქართულს ლაპარაკობენ და ხალხს სურვილიცა აქვს რუსული და ქართული ენა ისწავლონ მისმა ყმაწვილებმა, სასურველია, რომ ამ სკოლაში ისეთი მასწავლებელი დაინიშნოს, რომელმაც რუსულთან ქართული ენაც კარგად იცოდესო. მარადიდში უკვე დაარსდა სკოლა ქუთაისის საერო სასწავლებლის დირექციის მიეროა. ამ სკოლაში მასწავლებლად დაუნიშნავთ ბ-ნი პეტროვიო!

⁂ თებერვლის თთვის განმავლობაში ტფილისში 4-ჯერ ცეცხლი გაჩენილა, უბედურის შემთხვევით მომკვდარა 5, თვით-მკვლელობა 2 ყოფილა, მიუგდიათ 4 ყმაწვილი (2 მამათა სქესისა და 2 დედათასი), 15 ქურდობა მომხდარა, განსაკუთრებითნი შემთხვევანი 3 ყოფილა.

⁂ წარსულს თთვეში ტფილისის მაზრის სოფ. ახტაკლაში, როგორც გაზ. «Нов Обоз.»-ს აუწყებენ, შემდეგი ამბავი მომხდარა: შუა-ღამისას ერთის გლეხის ოჯახში, რომელშიაც დედასა და ქალს—საიანი-ელი-კიზს და ეტოარ-ალი-ყიზს სძინებიათ ერთად. შეუვარდნენ რამდენიმე შეიარაღებული თათარი: სოფლის მოსამართლე უსეინ-ალი-ოღლი, ალი-ასან-ოღლი, ხან-მამედ-გასან-ოღლი, ხან-ახმედ-უსეინ-ოღლი, პირისეინ-ოღლი და შარიფ-მაჰმედ-ოღლი. ავაზაკები შესვლისათანავე ქალებს ხანჯლით მოკვლას დამუქრებიან, ბალიშის ქვეშითგან აუცლიათ მათთვის ძვირფასი ნივთები და სხვა ავეჯეულობა; ყურადღება არ მიუქცევიათ დედის ყვირილისათვის, პირი აუკრავთ მისის 14 წლის ქალისთვის და ალი-ასან-ოღლის ცხენზე შეუსვამთ და მოუტაცნიათ. ეს ქალი 12 დღის განმავლობაში ალი-ასან-ოღლის სახლში ყოფილა, რომელსაც ძალ-დატანებით გაუპატიურებია; ბოლოს ალი-ასანის შინ არ ყოფნის დროს თავი დაუღწევია და მისულა თავის დედასთან. ამას წინად ეს ოჯახი ტფილისის მაზრის საპოლიციო გამგეობაში ყოფილა და უჩივლია, მათს საჩივარს ჯეროვანი მსვლელობა მიეცემაო.

⁂ ტფილისელმა ფრანგების საზოგადოებამ, როგორც მკითხველებსაც ეხსომებათ, დიდ-მარხვის პირველს კვირაში ბალი გამართეს, რომელმაც ბევრი ხალხი მიიზიდა. ეხლა გაზ. «Кавказъ»-ს ატყობინებენ, რომ ბალის გამმართველთ ამ ბალში შემოსულის ფულის ერთი ნაწილი, რიცხვით 200 მან., ტფილისის «კრუჟოკის» სტარშინებისათვის გარდაუციათ ტფილისში მცხოვრებთ საწყლების დასარიგებლად.

⁂ 2 მარტს რიყეზე მოკლულის კაცის გვამი უპოვნიათ. როგორც ეტყობოდა, მკვლელებს ხელ-ფეხი შეუკრავთ და წყალში ჩაგდება სდომებიათ და აჩქარების გამო წყლის პირას დაუგდიათ. ამის გამო პოლიციისაგან ფიცხელი გამოძიება დანიშნული. (გაზ. ნორ-დარი»)

ნაკვესი

ერთს ხევსურს ერთის მედუქნისაგან ოთხი თუმანი ფული უსესხნია და თამასუქი მიუცია. რადგანაც თვითონ წერა არა სცოდნია, სხვისთვის უთხოვნია და ხელი მოუწერინებია. გასულა რამდენიმე ხანი, ხევსური შეჰხვედრია მედუქნეს და თავისი ოთხი თუმანი ვალი მიუცია მოწმების თანადასწრებით. ხევსურს თამასუქი მოუთხოვნია. მედუქნეს უთქვამს, ახლა თან არა მაქვს და მერე როცა იქნება, დაგიბრუნებო. ამდენ მოწმებთან მოგიცია და უარს ხომ ვერ გეტყვიო. ბოლოს, იმ მედუქნეს აუღია ის თამასუქი, მომრიგებელ-მოსამართლესათვის წარუდგენია და უთხოვნია: ამ თამასუქში მოხსენებული ვალი ხევსურს გადაახდევინეთო. მომრიგებელს მოსამართლეს დაუბარებია ხევსური. ხევსური, მინამ მომრიგებელ მოსამართლესთან მივიდოდა, ჯერ მისულა ერთს ვექილთან უამბნია თავისი საქმე და რჩევა უკითხავს. ამ ადვოკატს მოწმები დაუბარებია და მინაურულად გამოუკითხავს. მოწმებს ყველაფერი ისე შეუმოწმებიათ, როგორც ზემოდ არის ნაამბობი. ადვოკატს უთქვამს ხევსურისათვის:

—ამ შემთხვევაში სამართალი მოწმებს არ შეიწყნარებსო. ისა სჯობია, უარი სთქვა, მე არც ვალი ამიღია მაგ კაცისაგან, არც თამასუქი მიმიცია და არც არავისთვის მითხოვნია, ხელი მომიწერე-თქო. მაშინ სამართალი გაგამართლებს, რადგანაც წერის უცოდინარობით სხვისგან ხელ-მოწერილი თამასუქი მოხელეთაგან შემოწმებული უნდა იყოსო და შენი თამასუქი-კი შემოწმებული არ არისო.

—რაო? გაიკვირვა თურმე გულ-მართალმა ხევსურმა.—ვალიც ამიღია, თამასუქიც მიმიცია, ჩემის თხოვნით სხვისაგან ხელ-მოწერილი, მომიშორებიაკიდეც და ტყუილი როგორა ვსთქვაო!

—სხვა გზა არ არის, ვერ გაგამართლებენ და ხელმეორედ გადაგახდევინებენო.

—ჰა, ჰა, ჰა!... თუ ტყუილს ვიტყვი გამამართლებენ და თუ მართალს—გამამტყუნებენო?!.. ვაი ამისთანა სამართალსაო! სთქვა თურმე აღმოკვნესით გულუბრყვილო ხევსურმა.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ს. კარდანახი. 2-ს მარტს. მაზრის ქალაქთან მახლობლად მდებარე სოფლის მცხოვრებლებზე არა მცირედი გავლენა აქვს, ესრედ წოდებულ, «ქალაქის ბიჭების» ყოფა-ცხოვრებას. ეს გავლენა მომეტებულად ემჩნევა სოფლის ახალგაზრდობას, ანუ როგორც სოფელში ეძახიან «ჯეილობას».

სოფლის «ჯეილობა» სცდილობს დაემგვანოს მას, ვისაც სიახლოვისა გამო ჰხედავს არა მარტო სიტყვა-პასუხში, არამედ თვით ყოფა-ცხოვრებაშიაც. თვით საყვარელ სამკაულს დღეს სოფლის ჯეილობისას შეადგენს «კინტოური» ტანისამოსი. ძნელად თუ უცხო გაარჩევს სოფლის კაცს ქალაქის კინტოსაგან. ყველა ეს, რასაკვირველია, გარეგანი ზედ-გავლენა არაფრად შესამჩნევია, მაგრამ უბედურება ის არის, რომ გარეგან ზედ-გავლენის გარდა შინაგანმა ზედ-გავლენამაც ამ ბოლოს დროს შესამჩნევად იჩინა თავი. ქალაქის თავხედობა, უმგვსავსი ქცევა და ლაპარაკი დღეს თავ-მოსაწონად მიაჩნია სოფლის ახალ-გაზრდობას.

ამისთანა არა-სასიამოვნო მოვლენა, ვიმეორებთ, მარტო გარეგნობას არ შეეხო და სოფლის მყუდრო ცხოვრებაც შეარყია, და ამიტომ ვიღებთ ხმას.

ეს მცირედი წინასიტყვაობა გამოიწვია წარსულის კვირის ს. კარდანახის სასოფლო ყრილობამ.

ჯერ კიდევ დილა იყო, რომ სოფლის «კანცელარიის» წინ საშინელი ხალხის ყაყანი ასტყდა. ხმაურობაზე გამოვედ გარეთ და ერთ სოფლელთაგანს ვკითხე:—რა ამბავია, რომ ასე ადრიანად ხალხი შეყრილა და ერთი ვაიუშველებელი გააქვთ მეთქი.

— სოფლობა გახლავთ დღეს! მიპასუხა მან.

— რა საქმეზეა სოფლის ყრილობა? ვკითხე მე.

— თორმეტი კაცი უნდა ამოირჩიონ, რომ ხარჯის მომკრეფს ანგარიში გაუსწორონ.

— მეტი არაფერი?

— როგორ არა, შენი ჭირიმე, «პროგორის» ხალხიც უნდა ამოირჩიონ! იმიტომა აქვთ ვაი-უშველებელი

— მერე, რაღა აქვთ საჩხუბარი?

— წინანდელები ერთი წლით არას აკეთებდნენ და ეხლა ისინი უნდა გამოვცვალოთ და ახლები, კარგები დავაყენოთო.

ათი საათი ჯერ არ შესრულებულიყო, რომ «კანცელარიის» წინ ხალხი კარგა ბლომად შეგროვდა. მათ შორის დარბაისელი პატიოსანი მიწის მუშაკი ცოტა მოჩანდა. უმრავლესობა ჯეილობა იყო. მამასახლისმა გამოუცხადა ხალხს, ახა ამოირჩიეთ კაცებიო. ხალხში საშინელი ყრიამული შეიქნა. ჯეილებმა თავიანთ აზრის ხალხი ლანძღვა-გინებით ჩააწერინეს სოფლის მწერალს ამორჩეულ პირებათ. თუმცა დარბაისელთ თავიანთი კაცები გამოიყვანეს, მაგრამ უმეტესობამ დასძლია. დაღონებულთ მხვნელ-მთესველთ გულ-ნატკენობით გამოსწიეს შინისკენ.

— შვილო რაღას გამოგვყვანდით სასოფლოზე, თუ ყრილობას საგოგობიჭოთ გახდიდით. ჩემ სიცოცხლეში არავის გაუბაბრუებივარ და რაზე გავიჭირო საქმე, რომ ბიჭ-ბუჭებს გავალაფებინო თავი. იძახდენ შინისკენ მიმავალნი დარბაისელნი.

ამ გვარად დარჩათ ბურთი და მოედანი ჯეილებს და ამოირჩიეს კიდეც თავიანთი ძმა-ბიჭები. დღეს კარდანახს ისეთი ამორჩეულები ჰყავს, რომ მათ ცოდნა სასოფლო საქმე მიენდოს, რადგან მეტად გამოუცდელნი არიან და სოფლისთვის ზრუნვა არა აქვთ. ჯეილებმა უნდა ასწონონ მხვნელ-მთესველის ცოდო-მადლი, მათ უნდა ანგარიში გაუსწორონ ხარჯის მკრეფავს და მათვე «განაჩენის» ძალით უნდა გააწერონ წლევანდელი სოფლის ხარჯი!! როგორც მკითხველი ჰხედავს მცირედი საქმე არა აქვს თორმეტ ამორჩეულ კაცს. თვით საქმეებიც ცხადად გვიმტკიცებს, რომ მათი აღსრულება მათი საქმე არ არის, ვისაც სოფლის ავი და კარგი ჯეროვანად არა აქვს შესწავლილი. ზემოხსენებული საქმეებისათვის, უეჭველად, საჭირონი არიან იმისთანა სოფლის კაცები, რომელთაც ზედ მიწევნით იციან ყოველის მეოჯახის ყოფა-ცხოვრება, იციან სოფლის ავლა-დიდება და მასთან სვინდისიანები არიან და ცოდო-მადლის გარჩევა აქვთ. ახალ ამორ-

---

არც ნება აქვს და არც შეძლება სხვა რომელსამე ბრუნვას ეახლოს. მაგრამ ეს მარცვალი ისეთივე თავისუფალი მოსამსახურეა,—როგორც, მაგალითად, «ვით», რომელიც ხან ეახლება სახელობითს ბრუნვასა (ლომივით) და ხან მიცემითსა (კალიასავით) და ან როგორც «თანა», რომელიც ხან ნათესაობითს ბრუნვას აკვიატება (მამისათანა) და ხან მიცემითს ებმის (დედასთან). მზგავსად ამ თავის ორის ტოლ-ამხანაგისა, «გან» შეეთანხმება ხან ნათესაობითს ბრუნვას (ძმისაგან) და ხან მოქმედებითს (თბილისითგან). პირველს შემთხვევაში იგი უგებს კითხვაზედ: რისაგან, მეორეში კი ეპასუხება კითხვას: საითგან. რუსულს ენაში ორსავე ამ კითხვაზედ (изъ чего и откуда) ეპასუხება ერთი და იგივე ნათესაობითი ბრუნვა, და სწორედ ეს გარემოება ჰრევს ბატონ ნასიძეს და სხვებსაც. მაგრამ კერძო ნაკლულევანება რუსულის ენისა საბუთს როდი გვაძლევს, რომ ესევე ნაკლულევანება ვაკისრებინოთ ქართულს ენასაცა. რომ აქ ნამდვილი ნაკლულევანებაა, სჩანს ჯერ იქითგან, რომ изъ чего и откуда სხვა-და-სხვა კითხვები არიან და მაშასადამე სხვა-და-სხვა ბრუნვები უნდა უპასუხებდნენ, და მერმე იქითგან, რომ უცხო ენებზედაც თურმე ამ შემთხვევაში იხმარება არა ერთი და იგივე ბრუნვა, არამედ სხვა-და-სხვა.

ბატონი ნასიძის აზრი შესახებ მისა, თუ როგორ წარმოსდგა ფორმა «პირველიდგან», ყოვლად შეუსაბამოა და ჰგავს იმასა, რომ არაგვს აშობინოთ ისპანიური მდინარე გვადალკვივირი. მთელი ჩვენი ძველი ლიტერატურა ხმა-მაღლა ღაღადებს ჩვენი მოპირ-და-პირის წინაამდეგ. სამაგიეროდ ყოველი გვერდი დაბადებისა, სახარებისა და საერო ლიტერატურისა ემოწმება ჩვენის მოსაზრების სიმართლესა. ძველი ქართველები არამც თუ ამ გვარს ფორმაში: პირველითგან, იერუსალიმითგან, აღმოსავლეთითგან—არა ჰხმარობდნენ თ-ს მაგივრად დ-სა, არამედ უმეტესს ნაწილად მარტო მოქმედებითი ბრუნვით ხატავდნენ იმ აზრსა, რომლისათვის ეხლა ჩვენ ვხმარობთ ამ ბრუნვას თანდებულის «გან» დამატებით. ახალი ქართველები ვსწერთ და ვამბობთ: კაცი მოვიდა იერუსალიმითგან, თბილისითგან, გორითგან, უწინ კი ხშირად ამბობდნენ და სწერდნენ: მოვიდა იერუსალიმით, თბილისით, გორით. ამავე ფორმას აქამდის ჰხმარობს ჩვენი მთის ხალხი. რადგანაც ამ გვარს ციტატებს აქვს დიდი მნიშვნელობა არა მარტო ამ კერძო კითხვის დასკვნისათვის, არამედ თვითონ მოქმედებითის ბრუნვის გამართლებისათვის, ამიტომ მოვიყვანთ ჩვენ რამოდენსამე ადგილს ჯერედ ახალის აღთქმის სხვა-და-სხვა ნაწილებითგან: «აჰა მოგვნი აღმოსავალით (ნაცვლად აღმოსავლეთითგან) მოვიდეს იერუსალიმად.»—«აღმოვიდა იოსებიცა ქალაქით ნაზარეთით (ნაცვლად ნაზარეთითგან) ურიასტანად.» «იგი (პეტრე) უფალმან გამოიყვანა საპყრობილით» (ნაცვლად საპყრობილითგან). «ბარნაბა და სავლე მიიქცეს იერუსალიმით (ნაცვლად იერუსალიმითგან) ანტიოხიად», და სხვანი. მეთორმეტე საუკუნის ლიტერატურაც ამ ფორმას ხშირად ჰხმარობს: «მუცლითგან (და არა მუცლიდგან) რომელ რა გიშობია (ვისრამიანი 11 გვერდი).»—აქა ხუზისტანით მოიყვანეს ვისი.—მას დღესა მოვიდეს მეფენი ერაყით, ჯორჯანით, გულანით.—შექამადი სპარსეთით და ხორასნით მოვა» და სხვანი.

მკითხველსა ვთხოვთ ერთს წამს შესდგეს აქა და მოყვანილს ფრაზებში მოქმედებითის ბრუნვის დაბოლოება შესცვალოს თანდებულზედ «თურთ» და «ისათანა», თანახმად ბატონი ნასიძის თეორიისა. რა გამოვა? სასაცილოზედ უსასაცილოესი რამე. მაგალითად: მოგვებს თან მოჰყვება იესო ქრისტეს თაყვანის-საცემლად მთელი აღმოსავლეთი მიწა-წყლით, მთა-ბარით, ქალაქ-სოფლებით და მცხოვრებლებით; საპყრობილიდგან გამოპარებულს პეტრეს უკან დაედევნება მთელი საპყრობილე საძირკველ-ბანიანათ, კედელ-ბუხრიანად და ტუსაღებიანად. აქ, ვგონებთ, შეცდომა ჰერკულესის სვეტების იქითაც გარბის და საცალა ოკეანის უფსკრულში იღუპება.

რაც შეეხება გამოკვლეულს ფორმაში დ-ს ხმარებას თ-ს მაგივრად, (თბილისითგან, თბილისიდგან) ამ ახალის დროის ჩვეულებას აქვს შესაწყნარებელი საბუთი კეთილ-ხმოვანების მხრივ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ ამ გვარად ვამოკლებთ ბრუნვის დაბოლოებას: ტყიდამ, ქალაქიდამ, ვენახიდამ. სრული ფორმის ხმარების დროს კი საჭიროა ფონეტიკას და მართლ-წერას არ ვუღალატოთ, თორემ, სხვა არა იყოსრა, შემდეგშიაც არა ერთი ვაჟბატონი აირევა ბრუნვების განრჩევაში ისე უწყალოდ, როგორც ჩვენ თვალ-წინ დაიბნა ბატონი ნასიძე.

ჩვენს მეორე საბუთთან შეჭიდებაც ბატონი ნასიძისა გათავდა იმითი, რომ საბუთს ფეხიც ვერ შეუნძრია,—მაგრამ თვითონ კი მას უხეიროდ ქვეშ მოჰყვა.

მესამე ჩვენი საბუთი მდგომარეობდა იმაში, რომ როდესაც სახელი არსებითი და ზედ-შესრული ერთად შეთანხმებით იბრუნვიან, ყოვლად შეუძლებელია მეთქი, რომ თანდებული დაჰყვეს ერთსაც და მეორესაცა: მოქმედებითი ბრუნვის დაბოლოება კი მთლად ებმოდა და ებმის, სახელი არსებითის გარდა, ზედშესრულსაც მაშინაც, ოდეს წინ უძღვის სახელი არსებითისა და მაშინაც, როცა უკან მისდევს თქო. ეს ჩვენი მოსაზრება ბატონმა ნასიძემ ჩასთვალა «დიდ შეცდომად», და დასამტკიცებლად წამოაყენა შემდეგი ფრაზა: კაცზედ პატიოსანზედ. ეს ერთად-ერთი მოაზრებაა ჩვენი მოპირდაპირესი, რო-

ჩეულთა შორის არც ერთი ამ ნაირი არ ურევია. იქნება, ამათში ყველანი ისეთნი აღმოჩნდენ რომ სხვის ჭირი სასაცილოთაც არ ეყოთ. ჩვენ გვგონია, რომ ოღონდ მათ დალოცვილი კარდანახური ღვინო არ მოაკლდეთ და თუნდა სოფელი ერთ დღეს გადიბუგოს, აინუნშიაც არ მიიღებენ. ეს კიდევ არაფერი: ამორჩეულთა შორის ურევიან თვით აქაურ მთავრობისაგანაც ცუდად შენიშნულნი. ასეა თუ ისე, დღეს ამ პირთ ჩაუვარდათ სოფ. კარდანახის სვებედი.

თუმცა დღეს «განაჩენი» უკვე მალაში შესული ჰგონია სოფელს, მაგრამ უნდა ვისურვოთ, რომ ამ არჩევნის განაჩენი გაუქმდეს, რადგან არჩევანი თითქმის მალ-დატანებით მოხდა.

ი. კახელი

* * *

დამაკვირდი!

ყოველთვის როცა კაცს ბუზმენტებით მორთულსა ჰხედავთ: იცოდეთ, რომ მის მახლობლად სხვა კაცი ძონძებშია გახვეული. (სუდდი)

⁂

მავი ცხოვრებისა განწვალილდებოდა, რომ ზოგჯერ ცრემლით არა ჰლბებოდეს. (პითაგორი)

⁂

სწავლა არის სიცოცხლე სწავლულისა, სათნოება—სიცოცხლე ბრძნისა.

⁂

მაშინ იხარებს მწიგნავი,
ოდეს მოისთვლის მტევნებსა;
ეგრედ მოსწავლე სწავლასა,
რა სრულ ჰყოფს, განისვენებსა.
(დავით გურამიშვილი)

⁂

მეცნიერება ბრძენთანი
ღვარისებრ გამდიდრდებიან,
ბრძენთ ზრახვა ცხოვრების წყაროდ
ისმის და ედინდებიან.
(არჩილ მეფე)

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ჩვენშიაც და რუსეთშიაც ხშირად შეჰხვდებით იმისთანა ხალხს, რომელთაც ერთხელ და სამუდამოდ გარდუწყვეტიათ, რომ ღარიბნი ვართო, ფული არა გვაქვსო, საქვეყნო სასარგებლო საქმეს ვერ დავიწყობთო; ბედნიერად ჰსთვლიან თავიანთ თავსა, თუ რაიმე ადგილი იშოვეს; ზედ დაჰკანკალებენ ამ ადგილს, ეშინიანთ არავინ წაგვართვასო; დღე-დღეულად ივებებიან და ამათი მუდმივი ფიქრი ხომ ის არის, აგები ფული როგორმე შევაგროვოთო.

ამ ჯურის ხალხი, ამბობს გაზეთი «Новости», ვერც ფულს შეაგროვებს, ვერც როდისმე გამდიდრდება, არა, იგი ვერასოდეს გაჭირვებას და სიღარიბეს ვერ ამოუვა, იგი სიკვდილამდე ლუკმა პურზე უნდა ჰფიქრობდეს და ყველასთან თავს დაბლა იჭრიდეს. პირ-იქით, ის კაცი, რომელსაც სულის სიძლიერე და მხნეობა მოსდევს, რომელსაც მხოლოდ თავის ძალ-ღონის რწმენა და იმედი აქვს,—განწირულ სიღარიბიდამაც ადვილად თავს გამოიტანს ხოლმე და არამც თუ თითონ მდიდრდება, ხშირად თავის ქვეყანასაც სიმდიდრეს შესძენს.—იმ ქვეყანაზე რაღა უნდა ითქვას, რომელიც თავის ზურგზე მილიონობით ჰსთვლის ხალხსა, რომელსაც თავი მოაქვს, რომ ჩვენის ქვეყნისთვის ბუნებას აუარებელი სიმდიდრე მოუნიჭებიაო, თუმცა ეს სიმდიდრე ჯერ რიგიანად არც კია გამოკვლეული; რა უნდა ითქვას, ვიმეორებთ, ამ გვარ ქვეყანაზე, რომელიც მუდმივ წუწუნებს და თავის სიღარიბეს სტირის, რომელსაც სრულიად იმედი გარდუწყვეტია, რომ როდისმე ამ სიღარიბიდამ ამოსვლა შეიძლოს; მხნე-კაცმა რომ უჩვენოს კი რაიმე გზა, მაშინვე წუწურაქს, კრიჟანგს კაცსავით ამ პასუხს მოგცემს: «ფული არ არისო!» თუ კაცს მუდმივ ეს პასუხი ესმის, ცხადია, რაც მაღალი სულოვანი იყოს, ბოლოს ამასაც ფრთები შეეკვეცება. ტყუილად ივიწყებენ იმ ჭეშმარიტებას, რომ უფრო საქმე და შრომა ჰბადავენ სიმდიდრეს, ვიდრე ფული.

სამწუხარო ის არისო, განაგრძობს გაზეთი, რომ ამ უსაფუძვლო აზრს, ამ ცრუ-მორწმუნეობას მთავრობაც მტკიცედ აღიარებსო. ბევრი საჭირო საქვეყნო საქმე ფერხდება, შორს გადიდება ხოლმე მარტო იმის გამო, რომ მთავრობა დარწმუნებულია და სულ იმას გაიძახის: «ფული არ არისო». ეს რომ დიდი შეცდომაა, ამბობს გაზეთი, ამას შემდეგი მაგალითი ცხადად გვიმტკიცებსო.

როგორც ყველამ იცის, ამ უკანასკნელის ომის წინად გაცხარებული ბაასი იყო ატეხილი იმის თაობაზე, რომ პირველ დაწყებითი სწავლა-განათლება ყველასათვის საერთოდ ვალდებული იყოსო. ამაზე უარს არავინ იყო; მხოლოდ, როდესაც გამოიანგარიშეს, რომ ამ საჭიროებისათვის ყოველწლიური ხარჯი 12 მილიონ მანეთს შეადგენსო, ყველამ ერთ ხმივ შესძახა: «ფული არ არისო!» რუსის ხალხი ძლიერ ღარიბიაო, რომ ამოდენა ხარჯის ატანა შესძლოსო. განა ეს მართალი გამოდგა? მართლა რუსეთი ესეთი ღარიბია? სრულიადაც არა:—სულ ორმა წელმა არ გაიარა ამის უკან და იმავე რუსეთის ღარიბმა ხალხმა 100 მილიონი გამოიღო იმ ვალების გადასაწყვეტად, რომელიც ოსმალეთთან ატეხილს ომს მოჰყვა.

არა, უფულობა კი არ არის ჩვენის სიღარიბის მიზეზი, არამედ ჩვენი სიზარმაცე, უმეცრება, ხელთ-უქმნელობა. გონივრულადა ჰსთქვა ერთმა ჩვენმა საზოგადო მოღვაწემ: «ადამს ნეტა რა თანხები ჰქონდა, რომ საქმე დაიწყოვო».

⁂

გაზეთი «Современныя Извѣстія»-ში მოყვანილია რამდენიმე ადგილი ერთის ახალის წიგნაკიდამ, სახელად «აქსაკოვები». ეს წიგნაკი ჯერ თურმე არ დაბეჭდილა, მაგრამ ის ადგილები, რომელიც გაზეთს მოჰყავს, იმდენად საყურადღებოა, რომ საჭიროდ დავინახეთ, ზოგიერთის ჩვენის მკითხველებისთვისაც გაგვეზიარებინა. სხვათა შორის ჩვენი მკითხველები ცოტათი მაინც გაიცნობენ იმ დასსა, რომელსაც რუსეთში «სლავიანოფილების» დასს უწოდებენ და რომლის უმთავრესი წარმომადგენელნი აქსაკოვები იყვნენ. აი თურმე ნამდვილი წიგნაკის სიტყვები, რომელიც როგორც აქსაკოვებს, ისე ამათ თანამოაზრე მწერალთ ერთგვარად შეეხება:

ესენი ნამდვილი, პატიოსანი მამულის შვილები იყვნენო; მათ გულ-წრფელად უყვარდათ სამშობლო ერი და მიწა-წყალი, იგინი დაუღალავად ეძებდნენ სიმართლეს და ნამდვილ საქმეს სამშობლოსათვის. დასავლეთის განათლება, ნამდვილი მეცნიერება ღრმათა ჰქონდათ მათ შეთვისებული და ამ გარემოებამ სრულიადაც ვერ ააცრუებინათ გული იმ სამშობლო ნიადაგზედ, რომელიც სულიერ საკვებავს უნდა აძლევდეს ყოველს ჭეშმარიტს მამულის შვილსაო.

საქმე სწორედ იქიდამ დაიწყეს, საიდამაც ყოველი ჭეშმარიტი მამულის შვილი უნდა იწყობდეს: ისინი მკაცრად დაეცნენ და შეუბრალებლად ჰკიცხავდნენ იმ ესრედ წოდებულ განათლებულ საზოგადოებას, რომელიც საზიზღარის ცრუ-მორწმუნეობით, უმეცარის თავ-მოწონებით და გულგრილობით ეპყრობოდა ყველაფერს, რასაც მამულის სახელი ერქო და მოწიწებით შეჰტრფოდა ყველა ევროპიულს, თუნდ ეს ევროპიული საზიზღარი სისაძაგლეც რამ ყოფილიყოო.

მართალია, მამულის სიყვარულმა ესენიც ძალიან გაიტაცა, ამათაც ბევრი შეცდომა მოუვიდათ, თუმცა თვითონ შეცდომაც გულ-წრფელი კი იყო.

რაც უნდა შეჰსწამონ «სლავიანოფილებსაო», განაგრძობს გაზეთი, მათ მაინც ერთი დიდი ღვაწლი მიუძღვით სამშობლოს წინაშეო და რუსეთი ამას არასოდეს არ დაივიწყებსო.

* * *

რუსეთი

სმოლენსკის გუბერნიაში, ქ. ბელოისა და მის არე-მარეში საკვირველი და საოცარი უბედურება მომხდარა: ბრეზოვსკის მამულში ცოფიანს მგელს დაუგლეჯია ორი მუშა ამ მიწად-მფლობელისა. ამ ცოფიანს მგელს მუშებისთვის ხელები დაუკბენია. იმ დღესვე საღამოს 7 საათზე სამი გლეხი მოდენილა ქალაქიდამ, დახვედრიათ მგელი: სცემია ჯერ ერთს, დაუკბენია ხელები, მერე სცემია მეორეს, დაუკბენია ისიც, მივარდნია ახლა მესამეს, დაუცია მიწაზე და სწვდომია ფეხებში; ამ დროს ერთმა გლეხთაგანმა იპოვა ერთი ღერი შეშისა და დასთხლიშა მგელს; მგელმა გაანება თავი დაცემულს, რომელსაც ქალმანის წყალობით ვერა დააკლო-რა, მხოლოდ შიშით კი გული გაუხეთქია საცოდავს. საღამოს 8 საათზე მგელი შევარდნილა სოფ. ალექსანდრინოში. აქ შეხვდა გლეხი შვილითურთ და ეცა გლეხს. გლეხი დააჯდა მგელს ქეჩოში და ჰყვიროდა: მიშველეთო. მამას არ მოეშორებია შვილი. ამ დროს მოვარდა ერთი გლეხი ცულით. მგელმა დაინახა ცულიანი კაცი, გამოუსხლტა ხელიდამ პირველს და ეცა ცულიანს: ცულიანმა რამდენჯერმე დაარტყა ცული, მაგრამ შემდეგ თოვლში ჩაივლა; მგელმა გააგდებინა ცული და მძიმედ დაგლიჯა. მოვარდა მესამე საფანტით გატენილის თოფით. დაახალა მგელს თოფი. თავ-ზარ-დაცემული მგელი დაეცა, მაგრამ წამოდგა მერე და ცხვირ-პირი დაუკბინა თოფიანსა. მგელი გაიქცა ორ-ღობეში, შეხვდა კიდევ ორს კაცსა და ერთს ქალს. დაჰგლიჯა ერთი და ეცა მეორეს. ეს მეორე მისწვდა მგელს თავში, შეიმაგრა ხელში და დაუყვირა ქალს: «გაიქეცი დაო, თუ სიკვდილია, ისევ ერთი მოკვდესო». გულ-გახეთქილი ქალი გაიქცა. წინადვე ერთი გლეხიც გაქცეულიყო. მგელთან მებრძოლი ანებებს თავს ცოფიანს და შევარდება ხეზედ. დილის 6 საათზედ მგელი გაჩნდება ქალაქში და დაჰგლეჯს მაჟლს. მერე მივარდება ასას-ქალს უკანიდამ და დიდის თულუფის გამო ვერას ავნებს. ქალი მირბის საშინელის ყვირილით. გაჭირვებულს დედა-კაცს დაინახავს საყარაულოდამ ცეცხლის-მქრობი და მიაშველებს ორს ცეცხლ-მქრობელსა. მგელი დაჰკბენს ამათაც. ამ ყაი-ყაყანზე გამოვარდება მიკიტანი დუქნიდამ: ჰგონია, ცეცხლი გაჩენილაო. ამასაც მგელი მივარდება და ზურგს ოდნავ გაუფხაჭნის, შემდეგ მირბის და ერთს მებულკეს კიდევ დაჰგლეჯს. ახლა აქ შეხვდება მღვდელი ვასილ ერმშოვი, რომელიც ცისკრისთვის მიდის საყდარში. მგელი დაცუცქებულა და სხვა მხრისაკენ დაუწყვია ყურება. მღვდელს ძაღლი ეგონა თურმე, მივიდა ახლო და შეჰნიშნა რომ მგელია და ქუჩის მეორე მხარეზე გადავიდა, აქ უკაკუნებს პირველსავე სახლის პატრონს კარსა და სთხოვს: ჩქარა შემიშვითო. მგელი გაიგონებს ამ ხმაურობას და მივარდება მღვდელს. დაიწყობა ბრძოლა მგელსა და მღვდელს შორის. მღვდელი ზედ დაანტვრევს თავის კვერთხს, მაგრამ მგელი მაინც არა შორდება, ჰკბენს ხელებ-

---

მელიც ერთი შეხედვით მარცვალსა ჰგავს იმ ბზის გროვაში, რომელსაც წარმოადგენს მისი წერილი; მაგრამ იგიც ფშუტა ჭვავის მარცვალი გამოდგება ეხლავე. დედა-ბოძი ჩვენი მოსაზრებისა გახლავთ ის მოვლენა, რომ ვერა თანდებული ვერ მიებმის ზედშესრულს, როდესაც იგი წინ უძღვის სახელი-არსებითსა. ბატონმა ნასიძემ შეხებაც ვერ გაბედა ამ დედა-ბოძისა. მან მოიწადინა დაემტკიცებინა, რომ მეორე შემთხვევაში, ესე იგი როდესაც სახელი არსებითი წინ უძღვის ზედშესრულსა, უკანასკნელსაც ებმის თანდებულიო. თუნდაც რომ გაემართლებინა მას ეს თავისი მოსაზრება, მაინც ჩვენი საბუთი, უძრავს დედა-ბოძზედ დამყარებული, ვერ შეირყეოდა. მაგრამ ვერ გაამართლა. მოყვანილი ფრაზა არის ძალდატანებითი ქართული. ამის უტყუარი საბუთი ის გახლავთ, რომ ამისთანა ძალდატანება იქნება ვაინაჩრობით მოითმინოს კიდევ ერთმა თანდებულმა «ში»; მაგრამ ყველა სხვა თანდებულნი კი ენერგიულად ეწინააღმდეგებიან ამ გვარს თავის ბუნების შეუსაბამო ხმარებასა. მაგალითად, ყოვლად შეუძლებელია ვსთქვათ: კაცისათვის პატიოსნისათვის, პატარითგან ქალაქითგან, ლომივით ძლიერივით, მეზობლისათანა ახლოსათანა, რედაქტორისადმი ფიცხელისადმი, მწერალის მიერ უფხოს მიერ, და მებრივ. მოქმედებითის ბრუნვის სრული დაბოლოება კი მშვენივრად უხდებოდა და უხდება სახელი-არსებითსაც და ზედშესრულსაც, რა გვარს წყობაზედ გინდა იყვნენ დალაგებულნი: ძლიერითა კაცითა, კაცითა ძლიერითა,—უძლურითა გონებითა, გონებითა უძლურითა. ეს თვისება მოქმედებითის ბრუნვის დაბოლოებისა, რომელიც სდებს დიდს მანძილს მის და თანდებულთ შორის, უფრო კიდევ ბრწყინვალედ სჩანს იმ შემთხვევაში, როდესაც წინადადებაში ერთად შეიყრებიან ხოლმე შეთანხმებულნი: სახელი არსებითი, ზედშესრული და ნაცვალსახელი, ან რიცხვითი სახელი. მოქმედებითი ბრუნვა ამ დროს სწორედ ფარშავანგებურად იშლიდა და იშლის თავის სრულს ფორმასა. მაგალითების ძებნა შორს არ მოგვიხდება. ავიღოთ ლოცვები და სახარება, რომელნიც არიან გადმოთარგმნილნი ძველის-ძველად, როდესაც ქართველებს უფრო ცხადად უნდა სცოდნოდათ მოქმედებითის ბრუნვის დაბოლოების თანდებულობა და მორიდებოდნენ მის შეუსაბამოდ ხმარებასა. აი როგორ იწყება ლოცვა სინანულისა: მიწყალე მე ღმერთო დიდითა წყალობითა შენითა და მრავლითა მოწყალებითა შენითა განმწმინდე მე. უმთავრესი მცნება იესო ქრისტესი სახარებაში გამოიხატება ასე: შეიყვარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა. გარდაშალეთ შემდეგ ჩვენი მატიანენი და თითქმის ყოველს გვერზედ შეხვდებით ამ გვარ გამოხატულებათა: მრავლითა სპითა თვისითა, ორითა მონითა თვისითა და სხვანი.

მაშასადამე «ჭეშმარიტზედ უჭეშმარიტესია», რომ რაც ჩვენმა მწერლობამ თავი შეისწავლა, მთელი ქართველობა უცქეროდა და ხმარობდა მარცვალს ით, როგორც ბრუნვის წმინდა დაბოლოებასა, და სრულიად მოშორებული იყო იმ აზრსა, ვითომც იგი იყოს თანდებული.

ფრანციულს ენას მოქმედებითი ბრუნვა არ აქვსო, მაგრამ ამითი კი არა უფუჭდებათრა ფრანცუზებსაო... ჩვენ გვგონია, რომ უფუჭდებათ. მოქმედების გამოხატვა ბრუნვის მოკლე და პატარა დაბოლოების შუამავლობით ბევრით უფრო ადვილია, ვიდრე თანდებულის ხმარებით. რომ ამ ბრუნვის ქონვა ნამდვილი ღირსებაა ენისა, სჩანს იმ ფაქტითგან, რომ ლათინურს ენას, რომელზედაც ლაპარაკობდა უმხნესი და უნიჭიერესი ერი და რომელიც ითვლება უსრულესის აგებულების ენად, ჰქონდა ეს ბრუნვა.

როგორც ეტყობა, ფრანციულის ენის მიხედვას დაუბადნია თავდაპირველად აზრი ქართულის მოქმედებითის ბრუნვის გაუქმებაზედ. შემდეგში რუსულს ენას კიდევ უფრო უარესად აურევია საქმე. თითქმის ყველა შეცდომა ბატონ ნასიძისა წარმოსდგება იქითგან, რომ მას სათვალეებად გაუკეთებია რუსულის ენის ფორმები და ისე დაუწყვია შინჯვა დედა-ენის აგებულობისა... ასეთივე დაბნევა, ასეთივე მარცხი მოელის ყველას, ვინც ქართულის ენის შენობის შესწავლისათვის და გრამატიკის შედგენისათვის ქვა-კუთხედად არ დასდებს მის საგრამატიკო ანალიზს, კეთილ-სვინიდისიანს და მრავალ-მხრივანსა, და დაიწყებს ნეკერაობასა უცხო ენების მიხედვით.

გავათავეთ სიტყვა მოქმედებითს ბრუნვაზედ.

ეხლა თვითონ მკითხველმა გაშინჯოს: გამტყუნდა, თუ არა ყველა საბუთები ბატონ ნასიძისა და ჩაიშალა, თუ არა ყველა მისი მოსაზრებანი ისე, როგორც ქარის შებერვით იშლება ბავშვის ხუხულა? მეორეს მხრივ გამართლდა, თუ არა ჩვენგან წარმოდგენილი საბუთები და საგრამატიკო კანონები და დამკვიდრდა, თუ არა მტკიცე საფუძველზედ არსებობა და თვით მყოფელობა მოქმედებითის ბრუნვისა?

დარჩა ყველასაგან უარყოფილი და დაბრიყვებული ცვლილებითი ბრუნვა. ჩვენ მას ერთხელ კიდევ გამოვესარჩლებით მით უმეტესი სიამოვნებით, რომ ერთობ მოგვწონს დაცვა ყოვლის უსამართლოდ და უსაფუძვლოდ დაბრიყვებულისა.

იაკობ გოგებაშვილი

(დასასრული შემდეგ)

ზედ და საშინლად უსახიჩრებს პირისახეს. მერე მგელი შევარდება კოხანოვსკის სახლის ეზოში: დაჰკბენს სახლის პატრონის ცოლს, მდგმურს და მერე თვით კოხანოვსკის. კოხანოვსკის არ დაუკარგავს გონება, დასჯდომია მგელს და დაუძახნია მდგმურისთვის: ცული მომიტანეთო. მდგმურს მოუტანია ცული და კოხანოვსკის მლივს-მლივობით მოუკლავს მგელი. ამ მგელს წინად კიდევ ერთი აზნაური დაუგლიჯა თურმე, სულ 20 კაცი იმსხვერპლა ამ გაშმაგებულმა ნადირმა. ქალაქის მცხოვრებნი თავ-ზარდაცემულნი არიან თურმე ამ ამბით. მაშინათვე ორი დეპეშა გაუგზავნეს პასტერთან: მიიღებ თუ არა დაცოფიანებულებსაო. პასტერს მოუწერია დაუყოვნებლივ გამოგზავნეთო. ხელ-და-ხელ შემდგარა საერო კრება, გადაუდვია საჭირო ფული და ყველა დაცოფიანებულები გაუგზავნიათ პარიჟში სახელ-განთქმულ პასტერთან. გამართულა კერძო ხელის მოწერა ამ საგნისათვისვე. ქალაქის თავისთვის მიუნდვიათ, რომ დახარჯოს რამდენიც საჭირო იქნება. ავადმყოფებს ექიმიც გაატანეს თურმე ცოფიანის მორჩენის საქმის შესასწავლად.

* * *

უცხოეთი

გერმანია. ბისმარკი ცდილობს, რაც შეიძლება ჩქარა, სისრულეში მოიყვანოს პოლიაკების პრუსიიდამ გარდასახლების საქმე. ბისმარკი პარლამენტს სთხოვს 100 მილიონ მარკას (60 მილიონ მანეთს), რომ სახელმწიფომ თან-და-თან შეისყიდოს პოლიაკების მამულები. საკვირველი ის არის, რომ თვითონ ბისმარკი პარლამენტში არ დადის, თავის მაგიერ თავის ერთგულ მინისტრებს გზავნის და ეუბნება: წადით, თავი იმტვრიეთ და როგორც გინდათ პარლამენტი დაიყოლიეთ, რომ 100 მილიონი მოგვცენო.

აი ერთი ამ მინისტრთაგანი სახელდობრ სამეურნო მინისტრი ლუციუსი შემდგარა კათედრაზე და შემდეგი უთქვამს: «მართალია, ძნელია პოლიაკების მამულების შეძენაო, მაგრამ იმედი გვქონდეს, რომ იქმნება როგორმე დავსძლიოთ სიძნელეო... მხოლოდ კოლონისტებს ვიშოვითო, თუ არა, რომ ამ მამულებში დავასახლოთო,—ეს კი ღმერთმანი, მეც არ ვიციო». (ამ სიტყვებმა პარლამენტში თურმე დიდი სიცილი აღძრა).

მინისტრის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა პარლამენტის წევრმა ნემეცმა გიუნემ. «მე არ მესმისო, სთქვა ორატორმა, არც მინისტრის და არც ბისმარკის განზრახვაო. ესენი მარტო ერთს გაიძახიან:—100 მილიონი მარკა მოგვეცითო, პოლიაკების მამულები უნდა შევისყიდოთო. ამას კი არავინ გვიხსნის,—როგორ? რისთვის? რაღა სწორედ 100 მილიონი მოუნდათ? იქმნება ის მამულები ან მეტი, ან ნაკლები ჰღირსო?... ამითი მე სამეურნეო მინისტრს კი არ ვაყვედრი, არ ვკიცხავ; არა, მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ პარლამენტს თავის დღეში ასეთი წინ-დაუხედავი, მოუმზადებელი წინადადება არა ჰქონია გასაშინჯავად. აი გავშინჯოთ ეხლა მინისტრის წინადადება. პირველი შეხედვით თითქოს ყველა რიგზეა გამოთვლილი და გამოანგარიშებული და თუ კარგად კი დააკვირდით, ამაზედ წინდაუხედავად, ალალბედად შედგენილს საქმეს ვერ წარმოიდგენთ. აი რას გვეუბნებიან: ჯერ მამულებს შევისყიდავთო; მამულებს ნაწილებად დავყოფთო; სახლებს და სხვა-და-სხვა ჭირნახულის თვის საჭირო შენობებს დავსდგამთო, ბოლოს კოლონისტები გაჩნდებიანო. მალიან კარგი, პლანის აზრი ყოველის მხრივ ფრიად მშვენიერია. მხოლოდ აი რა დაჰვიწყებიათ პლანის შემდგენლებს: დაბოლოვებით მაინც გამოანგარიშებული აქვთ, თუ რა ხარჯი მოუნდება ამ პლანის შესრულებას? იფიქრეს ისიც, თუ რას უზამენ იმათ, ვისაც მამულები ერთმევათ? ვთქვათ, მამულის პატრონები ფულს მიიღებენ; სხვაგან გადავლენ, და, ცხადია, უფრო საშიშარ და შეუწყნარებელ ჩვენ მტრად გარდიქცევიან, ვიდრე ეხლა არიან,—ყველაზე საშიშარი მტერი სახელმწიფოსი ის არის, ვინც არც საკუთრებით და არც სხვა რაიმე განწყობილებით დამოკიდებული არ არის მასზედაო. მუშა ხალხი? შეინახავს მას ახალი მამულის პატრონი, თუ არა? თუ არა, მაშ ახალმა კოლონისტებმა რა გააწყონ უმუშოთო. თუ არ დასტოვებენ, მაშ პოლიაკების მუშა ხალხი ხომ სულ გლახებათ და მათხოვრებათ უნდა გადიქცნენ. ცხადია, თუ საქმე ამ გვარად მოხდა, არეულობა დაიწყებაო. ზოგიერთ ჩარჩებს და გაიძვერებსაც ეს უნდათ. ამ გვარი ჯურის კაცი ათასობით გამოჩნდება, ეცდებიან საქმეები უარესად დაწყონ და შესაძლოა, ის 100 მილიონი, რომელსაც სახელმწიფო თხოულობს, სულ იმათ ჯიბეში გადვიდესო. ნუ თუ ეს სასურველიაო.

* * *

ბისმარკის ავად-მყოფობა ტყუილი გამოდგა. კანცლერი ძალიან კარგად თურმე ჰსუფევს და თავის ავადმყოფობაზე ხმა იმიტომ დაუყრია, რომ არავის მონოპოლიის პროექტის დაცვა არ მოეძანდესო, რადგან ამ პროექტის წინააღმდეგნი ძალიან ბევრნი ყოფილან პალატაშიაო.

* * *

ინგლისი. ინგლისი თავის ძველებურს ჩვეულებას ჰღალატობს. ამასაც მოედო ის სენი, რომელსაც მილიტარიზმს ეძახიან და დღეს უნდა გაამრავლოს თავის ჯარების რიცხვი. ამის მიზეზი ლორდის უოლსლეის ლაპარაკი არისო. ამ ლორდმა, როგორც მკითხველებს ესმოდებათ, ინგლისის ჯარის სისუსტეზედ ძალიან ბევრი ილაპარაკა ერთს სამხედრო წვეულებაზედ.

* * *

ავსტრო-ვენგრია. ინგლისი კიდევ ჰო, ჰო. იმას მიეტევება, რომ ჯარის გამრავლებაზედ ჰფიქრობს, რადგანაც მართლა ძალიან მცირედა ჰყავს ეს ახლანდელს დროში ასეთი საჭირო მალა. ინგლისს საერთო და საყოველთაო სამხედრო ბეგარა დღესაც არ დაუდვია ერისათვის და მხოლოდ ახლა ჰფიქრობს ეს წესი ევროპისა საკმაოდ ფრთა-შეკვეცილად შემოიღოს და ავსტრო ვენგრია კი, რომელსაც საყოველთაო სამხედრო ბეგარა კიდეც ადევს, ახლა რაღაც «ლანდშტურმის» მოწოდებას აპირობს. ლანდშტურმის წესით 42 წლამდე ყველა უნდა გამოვიდეს ჯარში. თუ ეს გამოწვევა მართალია, ერთს მილიონამდე ჯარის კაცი კიდევ მიემატება ავსტრიის ლაშქარსაო. ვისთვის უნდა ამდენი ჯარი ავსტრიას, იკითხავთ. ეტყობა, ელის რასმეს საიმისოს, რომ ასეთს დიდს მზადებაში და გაძლიერებაშია ავსტრია, რომელსაც ომებში თავის დღეში იღბალი არა ჰქონია. ავსტრიამ ისევ დიპლომატებურს ხრიკებს მიჰყოს ხელი, ის ურჩევნიან ამ ფაცი-ფუცსაო, ეს უფრო ეხერხება ავსტრიას და ამაში იღბალიც აქვსო, ამბობს ერთი ამ ამბით გულ-ნატკენი გაზეთი რუსეთისა.

* * *

დეპეშა

5 მარტს

პარიჟი. ოსმალთ-ბოლგარიის ხელთ-შეკრულობის სახელმწიფოთაგან დამტკიცება ბოლგარიის თავადის უკანასკნელ პრეტენზიის გამო შეფერხდაო.

ლონდონი. გლადსტონს უნდა თავისი პროექტი ირლანდიის შესახებ გადააკეთოს, რომ ამით ჩემბერლენი და ტრეველიანი, რომელთაც სამინისტროდგან გამოსვლის თხოვნა უკვე შეუტანიათ, ისევ სამინისტროში დაანარჩუნოსო.

6 მარტს

პეტერბურგი. 6 მარტს დანიშნულია კრება რკინის გზის საქმეთა გამგებლობისა. ამ კრებაზე განიხილება თხოვნა რუსეთის რკინის-გზის წარმომადგენელთა მეცამეტე კრებისა, რომელიც ითხოვდა შეკრებას რკინის-გზათათვის საერთო წესდებულების 17, 18, 19, 22, 24, 26, 31 და 36 მუხლებისა.

ლონდონი. «რეიტერის სააგენტო» უარ-ჰყოფს ვენის გაზეთების მიერ გავრცელებულს ამბავს, ვითომ ახალი თავ-გამოდება ალექსანდრე მთავრისა ინგლისის მიერ არის შთაგონებულიო.

* * *

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპვ (1886) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7394**.
ძველი ინდიქტიონი მე-14.
ამისი ქორონიკონი — უოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4.
ამისი ქორონიკონი მბ=42 წელიწადია დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1886 წლის ზედ-ნადები—3,

ყველიერი მოდის 16 თებერვალს, დიდ-მარხვა—23 თებერვალს, აღდგომა—13 აპრილს, ამაღლება—22 მაისს, სულის-წმიდის მოსვლა—1 ივნისს, 9 ივნისიდამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

მარტი 31 დღით არის

7 დღე პარასკევი წმ. შვიდთა მღვდელ-მოწამეთა: ვასილისი და სხვ. კათ. თომასი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—7—52. ტფილისში მზე ამოდის 6—5; ჩადის 6—12. მთვარე ამოდის 5—36; ჩადის 5—24 ნღ.

8 დღე შაბათი. წმ. თეოფილაქტე ალმსარებლისა, თეოდორიტესი. სომ. წმ. კირილე იერუსალიმისა და სხვ. კათ. იოანესი. გავსება მთვარისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—7—34. ტფილისში მზე ამოდის 6—3. ჩადის 6—13. მთვარე ამოდის 7—2 ღ.; ჩადის 5—56 ნღ.

9 დღე კვირა. წმ. ორმეოცთა ყრმათა სებასტიის წამებულთა. კათ. ფრანცისკისა. მუსულმ. ნავრაზობა, ახალი წელიწადი (შიიტის მოძღვრ.) 16 დღე თვისა-ჯემედ-ულახირ, 1303 ჰიჯრისა.

ბელაქანი დაპყრობილ იქმნა. ჭარელნი ლეკნი დამორჩილდნენ რუსეთს 1803 წ. ყარაიაზის არხი გაიჭრა 1867 წ. თამბაქოს ბაყი დაედო ამიერ-კავკასიაში 1873 წ.

ჭეშმარიტი შუა დღე 12 — 7—15. ტფილისში მზე ამოდის 6—1; ჩადის 6—14; მთვარე ამოდის 8—46 ღ. ჩადის 6—34.

გაზაფხული იწყება და დღე და ღამე სწორდება.

10 დღე ორშაბათი წმ. კონდრატისა. კათ. 40 მოწამე. ჭეშმარიტი შუადღე 12—6—57. ტფილისში მზე ამოდის 6—0; ჩადის 6—15; მთვარე ამოდის 9—9 ღ. ჩადის 5—2.

გამოსადეგი ცნობანი.

მიმოსვლა რკინის გზისა.

ტფილისიდამ გადის ბათუმს 8 ს. და 35 წ. დ.
ბათუმიდამ მოდის — — 10 ს. და 25 წ. ღ.
ბაქოში მიდის — — — 10 ს. და 45 წ. ღ.
ბაქოდამ მოდის — — — 8 ს. ,, — ,, დ.

* * *

საპოლიტიკო და სალიტერატურო
გაზეთი

„ივერია“

1886 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

12 თვით	10 მ. — კ.	6 თვით	6 მ. — კ.
11 »	9 » 50	5 »	5 » 25 „
10 »	8 » 75 »	4 »	4 » 75 „
9 »	8 » — »	3 »	3 » 50 „
8 »	7 » 25 »	2 »	2 » 75 „
7 »	6 » 50 »	1 »	1 » 50 „

სამზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით.
სოფლის მასწავლებელთ «ივერია» მთელის წლით დაეთმობათ 8 მანათად.
ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты
«ИВЕРІЯ.»

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში — ერთი მანათი.

თუ თვეის განმაელობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვეის პირველ დღიდამ გაეგზავნება.

განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში, შავერდოვის საგაზეთოში, ცენტრალურს და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ ან შესწორებულ იქმნება. არ დასაბეჭდი ხელ-ნაწერები, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირ-და-პირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალ იქმნება ყოველ-დღე პირველ საათიდამ სამს საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.

Дозволено цензурою Тифлисъ 6 Морта, 1886 года   ექვთიმე ი. ხელაძის სტამბა საპერნის ქუჩაზე, საკუთარ სახლებში.   რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.